Municipality of Akhaltsikhe

Digitally signed by Municipality of Akhaltsikhe
Date: 2021.02.08 14:56:31 +04'00'

მიღება-ჩაბარების აქტი 36/03

ქ. ახალციხე

„04“ ---------- 2021 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის (ს/კ 224101317) მერის 2021 წლის 20 იანვრის № ბ12.12210201 ბრძანებით შექმნილი მიღება-ჩაბარების კომისიის წევრები და მეორეს მხრივ შპს ,,არალი“-ს (ს/კ 222725807) დირექტორი დემეტრე თათეშვილი ვადასტურებთ, რომ თანახმად ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ერთეულსა და შპს ,,არალი“-ს შორის დადებული, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2020 წლის 13 მაისის №102 ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს „ქრიზოლითი+“-ს მიერ განხორციელდა ,,ქალაქ ახალციხეში შოთა რუსთაველის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების (III ეტაპი)“ დასრულებული ობიექტის ინსპექტირება, მათი დასკვნის შესაბამისად ობიექტზე ხარვეზები არ გამოვლენილა.

2020 წლის 13 მაისის №102 ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ექვემდებარება დაკავებული ხარისხის კონტროლის თანხის პირველი 2,5%-ის 26522,66 (ოცდაექვსიათას ხუთასოცდაორი ლარი და 66 თეთრი) ლარის ანაზღაურებას.

აღნიშნულს ვადასტურებთ ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები (კომპეტენციის ფარგლებში) და შპს ,,არალი“-ს დირექტორი დემეტრე თათეშვილი ხელმოწერით.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წინამდებარე კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მხარეებს პრეტენზიები არ გაგვაჩნია

კომისიის თავმჯდომარე-
ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე - გურამი მელიქიძე

მიღება-ჩაბარების კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე- ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - იოსებ კაპანაძე

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის
საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - გელა ლომიძე

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერიის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ტექნიკურ-ეკონომიკური განყოფილების
ხელმძღვანელი - სტეფანე კაჭკაჭაშვილი

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელი - ილია ზარდიაშვილი

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერის მრჩეველი ინფრასტრუქტურულ საკითხებში - გელვასი გელაძე

შპს ,,არალი“-ს დირექტორი - დემეტრე თათეშვილი

LLC ARALI

Digitally signed by LLC ARALI
Date: 2021.02.08 11:20:01 +04'00'

ქრიზოლითი +

შპს „ ქრიზოლითი +“
A-ტიპის ინსპექტირების ორგანო
თბილისი 0105, შ. დადიანის ქ. №24ა(იურიდიული)
თბილისი, ს. ცინცაძის №11 (ფაქტიური)
ელ. ფოსტა: khrizolitiplus@gmail.com

GAC

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013
GAC-IB-0301

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტირებული სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013.
აკრედიტაციის მოწმობა GAC-IB-0301

ტექნიკური ზედამხედველობის ანგარიში №QRT/IB-A2-20-46AXC

1. **შედგენის თარიღი:** 31.10.2020 წ.

2. **შევადგინე ინსპექტორმა/ზედამხედველმა:** ი. ობოლაშვილი
სპეციალობით საავტომობილო გზები,
მუშაობის 41 წლიანი სტაჟით.

3. **განაცხადი:** N1861/07 15.05.2020 წ. **ხელშეკრულება:** №254 27.08.2019 წ.

4. **დამკვეთის დასახელება:** ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია.

5. **ინსპექტირების ობიექტის დასახელება:** ქალაქ ახალციხეში შოთა რუსთაველის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების (III ეტაპი) უზრუნველყოფა.

6. **ინსპექტირების ამოცანა:** ქალაქ ახალციხეში შოთა რუსთაველის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების (III ეტაპი) უზრუნველყოფაზე ტექნიკური ზედამხედველობა-ინსპექტირების განხორციელება.

7. **გაფრთხილებული ვარ ჩემს უფლება-მოვალეობებზე, საქ. სსკ 370 მუხლით** გათვალისწინებული მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე **ინსპექტირების** მიუკერძოებლობის, **დამოუკიდებლობის** და **კონფიდენციალურობის მოთხოვნებზე, რაზედაც ხელს ვაწერ:**

ინსპექტორი/ზედამხედველი: /ობოლაშვილი/

შპს ქრიზოლითი
404474065
ინსპ./ექსპ.
№1
KHRIZOLIT + LTD

8. **წარმოდგენილი დოკუმენტები:**

- 2020 წლის 13 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება №102, ქალაქ ახალციხეში შოთა რუსთაველის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების (III ეტაპი) უზრუნველყოფა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ღირებულებით 1068219,87 (ერთი მილიონ სამოცდარვა ათას ორას ცხრამეტი ლარი და 87 თეთრი) ლარი, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით (ტენდერი № NAT200006525), ელექტრონულად შტამპდასმული ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის და ელექტრონულად ხელმოწერილი შპს "არალი"-ს დირექტორის დემეტრე თათეშვილის მიერ;
- ხარჯთაღრიცხვები:
  - რუსთაველის ქუჩის (III ნაწილი) ხარჯთაღრიცხვა ღირებულებით 927590,99 (ცხრაას ოცდაშვიდი ათას ხუთას ოთხმოცდაათი ლარი და 99 თეთრი) ლარი დღგ-ს გათვალისწინებით, ელექტრონულად შტამპდასმული შპს "არალი"-ს მიერ;
  - რუსთაველის №125-თან მისასვლელი გზის ხარჯთაღრიცხვა ღირებულებით 140628,88 (ას ორმოცი ათას ექვსას ოცდარვა ლარი და 88 თეთრი) ლარი დღგ-ს გათვალისწინებით, ელექტრონულად შტამპდასმული შპს "არალი"-ს მიერ.
- 2020 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული სახელშეკრულებო შეთანხმება №1, სამუშაოების ვადის გაგრძელებაზე 2020 წლის 07 ოქტომბრის ჩათვლით, ელექტრონულად ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის ზაზა მელიქიძის და შპს "არალი"-ს დირექტორის ოთარი თათეშვილის მიერ;
- 2020 წლის 05 ოქტომბერს გაფორმებული N2 სახელშეკრულებო შეთანხმება ხარჯთაღრიცხვებში კორექტირების შეტანის და 30 ოქტომბრის ჩათვლით ვადის გაგრძელების შესახებ, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის ზაზა მელიქიძისა და შპს "არალი"-ს დირექტორის ოთარი თათეშვილის მიერ;
- რუსთაველის ქუჩის (III ნაწილი) კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა ღირებულებით 931686,22 (ცხრაას ოცდათერთმეტი ათას ექვსას ოთხმოცდაექვსი ლარი და 22 თეთრი) ლარი დღგ-ს გათვალისწინებით, ელექტრონულად შტამპდასმული შპს "არალი"-ს მიერ;
- რუსთაველის №125-თან მისასვლელი გზის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა ღირებულებით 136532,89 (ას ოცდათექვსმეტი ათას ხუთას ოცდათორმეტი ლარი და 89 თეთრი) ლარი დღგ-ს გათვალისწინებით, ელექტრონულად შტამპდასმული შპს "არალი"-ს მიერ;
- საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებული შპს „აიდიემი"-ს მიერ;
- პირველადი გეგმა-გრაფიკები 17.09.2020წ. ჩათვლით; (თანდართულია ხარჯთაღრიცხვებზე);
- კორექტირებული გეგმა-გრაფიკი 07.10.2020წ. ჩათვლით;
- კორექტირებული გეგმა-გრაფიკი 30.10.2020წ. ჩათვლით.

შპს არიზოლიტი
404474065
ინსპ. ექსპ.
№1
KHRIZOLIT LTD

9. ინსპექტირების კვლევითი ნაწილი:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს "არალი"-ს შორის 2020 წლის 13 მაისს გაფორმებული N102 ხელშეკრულების თანახმად ქალაქ ახალციხეში შოთა რუსთაველის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების (III ეტაპი) უზრუნველყოფაზე შესასრულებელი სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენდა 1068219,87 (ერთი მილიონ სამოცდარვა ათას ორას ცხრამეტი ლარი და 87 თეთრი) ლარს, დარიცხვების, გაუთვალისწინებელი ხარჯების და დღგ-ს გათვალისწინებით.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს "არალი"-ს შორის 2020 წლის 05 ოქტომბერს გაფორმებული N2 შეთანხმების საფუძველზე, პროექტმა და ხარჯთაღრიცხვამ გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯზე განიცადა კორექტირება,(დაკორექტირდა მოცულობები: რუსთაველის ქუჩაზე გაიზარდა დეკორატიული კედლების სამუშაო მოცულობები, ასევე გაიზარდა მიერთებების ფართობი, შემცირდა ბეტონის ტუმბებზე და კედლებზე მოსაწყობი ლითონის დეკორატიული მოაჯირების მოცულობები და ტროტუარის დეკორატიული ფილებით მოსაწყობი ფართობი). რის შედეგადაც შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულება განისაზღვრა 1068219,11 (ერთი მილიონ სამოცდარვა ათას ორას ცხრამეტი ლარი და 11 თეთრი) ლარით დარიცხვებისა და დღგ-ს გათვალისწინებით.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „არალი"-ს შორის 2020 წლის 13 მაისს გაფორმებული N102 ხელშეკრულებისა და თანდართული გრაფიკის თანახმად სამუშაოები უნდა დაწყებულიყო 3 კალენდარული დღის განმავლობაში და დასრულებულიყო 2020 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით.2020 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული №1 შეთანხმების საფუძველზე სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვრა 2020 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო 2020 წლის 05 ოქტომბრის N2 შეთანხმებით, 2020 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

ფაქტიურად სამუშაოები დაიწყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში, 2020 წლის 14 მაისს, და დასრულდა 2020 წლის 30 ოქტომბერს კორექტირებული გეგმა-გრაფიკის დაცვით.

2020 წლის 14 მაისიდან 2020 წლის 20 ივნისამდე ზედამხედველობას ახორციელებდა ინსპექტორი გ. აღლემაშვილი და სპეციალისტი თ. გელაძე. ინსპექტორი გ. აღლემაშვილის შპს „ქრიზოლითი+" - დან წასვლის შემდგომ 2020 წლის 01 ივლისიდან ზედამხედველობას ვახორციელებთ მე და სპეციალისტი თ. გელაძე.

ქალაქ ახალციხეში შოთა რუსთაველის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების (III ეტაპი) უზრუნველყოფაზე ზედამხედველობა განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოების შესრულებაზე.

<u>**რუსთაველის ქუჩის (III ნაწილი) რეაბილიტაცია:**</u>

- ტრასის აღდგენა-დამაგრება;
- **საგზაო სამოსი;**
- **დეკორატიული კედლებისა და დეკორატიული მოაჯირების მოწყობა;**
- **მოპირკეთებული კედლის თავზე ლითონის დეკორატიული მოაჯირის მოწყობა;**
- **მიერთებების მოწყობა;**
- **ეზოში შესასვლელების მოწყობა;**
- **ტროტუარების მოწყობა;**
- **სავალი ნაწილის მონიშვნა ერთკომპონენტიანი (თეთრი) საგზაო ნიშანსადები საღებავით;**
- **ბეტონის ტუმბებზე ლითონის დეკორატიული მოაჯირის მოწყობა (პკ 11+16.54 - პკ 12+03.78).**

შპს ქრიზოლითი+ ზედამხედველობა 404474065 ინსპ./ექსპ. №1 KHRIZOLIT+ LTD

<u>რუსთაველის #125-თან მისასვლელი გზა:</u>

- ტრასის აღდგენა-დამაგრება;
- მიწის ვაკისის მოწყობა;
- **მონოლითური რ/ბ სწორკუთხა კვეთის კიუვეტების მოწყობა მონოლითური ბეტონით, ჰიდროიზოლაციით და თუჯის ცხაურებით;**
- **პკ 0+02,74-ზე ლითონის მილის დემონტაჟი და მოწყობა D-530მმ - ის , ჰიდროიზოლაციით ;**
- მიერთებების მოწყობა;
- **საგზაო ნიშნების მოწყობა დგარების შეღებვით;**
- **სავალი ნაწილის მონიშვნა ერთკომპონენტიანი (თეთრი) საგზაო ნიშანსადები საღებავით.**

შესრულებული სამუშაოების აზომვები ხორციელდებოდა 10 მ-ანი ლითონის საზომი ლენტით (დაკალიბრების სერტიფიკატი №00328/2-20) და სიგრძის საზომი ბორბლით N 00316/2-20.

ყველა ფარული სამუშაოების მიღება განხორციელდა ეტაპობრივად და ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებზე გაფორმდა ფარული სამუშაოების 39 აქტი: შოთა რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაციაზე 24 აქტი, დადასტურებული შპს "არალი"-ს სამუშაოთა მწარმოებლის მ. აკოფაშვილის , შპს „ქრიზოლითი+"-ის ზედამხედველობის ინსპექტორის ი. ობოლაშვილის (18 აქტი) და თეიმურაზ გელაძის მიერ (6 აქტი) ასევე რუსთაველის #125-თან მისასვლელ გზის მოწყობაზე 15 აქტი, რომელიც დადასტურებულია შპს "არალი"-ს სამუშაოთა მწარმოებლის მ. აკოფაშვილის და შპს „ქრიზოლითი+"-ის ზედამხედველობის ინსპექტორის ი. ობოლაშვილის მიერ.

ზედამხედველობის/ინსპექტირების პერიოდში შპს "არალი"-ს წარმომადგენლის მ. აკოფაშვილი მიერ, ჩემი თანდასწრებით ადგილზე მოხდა ასფალტობეტონის გამოსაკვლევი ნიმუშების აღება. ნიმუშებს ლაბორატორიული კვლევები ჩაუტარდა აკრედიტებული ლაბორატორიის შპს ,,ხარისხის კონტროლი"-ის (აკრედიტაციის N GAG-TL-0225) მიერ. წარმოდგენილი კვლევის შედეგები შესაბამისობაშია ნორმატიულ მოთხოვნებთან და გამოცდის შედეგები ანგარიშს თან ერთვის. გარდა ამისა, ფოლადის არმატურაზე და ბიტუმზე წარმოდგენილია ხარისხის სერტიფიკატები.

ზედამხედველობის ინსპექტირების პერიოდში ობიექტზე შესრულებულ სამუშაოებზე შეუსაბამობის აქტი არ გაფორმებულა.

ზედამხედველობის პროცესში ობიექტზე ივსებოდა ზედამხედველობის-ინსპექტირების ჟურნალი, რომელშიც დაფიქსირებულია შესრულებული სამუშაოების სახეები, მიმდინარე პროცესები და ამ პროცესებზე გადაღებულია 624 ფოტოსურათი. ზედამხედველობის/ინსპექტირების ჟურნალი და ფოტოები ანგარიშს თან ერთვის.

სამუშაოები შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით, შესაბამისობაშია პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მონაცემებთან და ვიზუალური შემოწმებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

შპს ქრიზოლითი+ ზედამხედველობა 404474065 ინსპ./ექსპ. №1 KHRIZOLIT+ LTD

ინსპექტირების ანგარიშს თან ერთვის.

1. მე-8 პუნქტში მითითებული დოკუმენტები (ქსეროასლი);
2. ფარული სამუშაოს 39 აქტი (დედანი);
3. ფოტომასალა - (ელ. ვერსია);
4. მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონის ნარევის გამოცდის შედეგები - 1 ფურცელი;
5. წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ნარევის გამოცდის შედეგები - 1 ფურცელი;
6. მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონის ამონაჭრის გამოცდის შედეგები- 2ფურცელი;
7. წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონის ამონაჭრის გამოცდის შედეგები -4ფურცელი.
8. ბეტონის ნიმუშის გამოცდის შედეგი - 1 ფურცელი
9. სერთიფიკატები-8 გვერდი
10. ზედამხედველობა/ინსპექტირების ჟურნალი (დედანი);

10. გამოყენებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV-82);
2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი 3);
3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 15 იანვრის დადგენილებაში №71);
4. QRT/IB/GP-7.1-1 ინსპექტირების პროცედურები.

404474065 ინსპ./ექსპ. №1 KHRIZOLIT LTD

დასკვნა

ქალაქ ახალციხეში შოთა რუსთაველის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების (III ეტაპი) უზრუნველყოფაზე 2020 წლის 14 მაისიდან 2020 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით განხორციელებული ზედამხედველობა - ინსპექტირების პერიოდში ობიექტზე, შპს "არალი"-ს მიერ სამუშაოები სრულდებოდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მონაცემების შესაბამისად, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. შესრულებული სამუშაოების ხარისხობრივი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ინსპექტორი/ზედამხედველი: /ი. ობოლაშვილი/

ტექნიკური წესით გადაამოწმა
ტექნიკურმა მენეჯერმა: /ღ. რაზმაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა
ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელმა: /მ. ახვლედიანი/

ინსპექტირების დაწყების თარიღი: 14.05.2020 წ.
ინსპექტირების დამთავრების თარიღი : 31.10.2020 წ.

ბ.ა.